1. **სადოქტორო პროგრამა** - ისტორია

ქვედარგი - საქართველოს ისტორია

დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელი - ვ. კიკნაძე

კვლევის თემატიკა და ანოტაცია - „საქართველო XIV საუკუნეში“

XIV საუკუნე, ფაქტობრივად, ტეხილია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში. საქართველოს კლასიკური სახელმწიფოებრიობა, XIV საუკუნისთვის, საგრძნობლად დაკნინებულია. ამის მიზეზი სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობაა: საგარეო უმძიმესი დარტყმები XIII ს-ში, ახალი გეოპოლიტიკური ვითარება. ამ პერიოდისათვის, სხვადასხვა მიზეზის გამო, საერთაშორისო სავაჭრო გზებიც, საქართველოს გვერდს უვლის. „შავი ჭირის“ მსოფლიო პანდემიას, ვერ გადაურჩა საქართველოც, თუმცა ქართულ წყაროებში მწირი ცნობებია შემორჩენილი. 1315-1318 წწ. მსოფლიო მოიცვა შიმშილობის ტალღამ, რომელიც გამოიწვია აცივების ახალმა პერიოდმა ე.წ. „მეორე გამყინვარებამ“. ეს პროცესი საქართველოსაც უთუოდ შეეხო, თუმცა გლობალურ ჭრილში ის შესწავლილი არ არის. შესასწავლია მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარების გავლენა ქვეყნის შიდა განვითარებაზე; XIII-ში, გარე ფაქტორების აშკარა გავლენით და ხელშეწყობით, საქართველო ფაქტობრივად სამ ნაწილად დაიშალა (აღმოსავლეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო („იმერეთის სამეფო“) და სამცხე-საათაბაგო). XIV ს-ნის ბოლოს, თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ გიორგი V ბრწყინვალის მიერ გაერთიანებული საქართველო, კვლავ კატასტროფიულ შედეგებამდე მიიყვანა. საქართველოსა და მსოფლიოს ურთიერთობა კრიზისულ XIV საუკუნეში, საქართველოს, ევროპის და მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობები, ახლებურ გაანალიზებას საჭიროებს. ასევე, საკვლევია საუკუნის ქრონოლოგია და პერსონალიები.

დოქტორანტის ფინანსური მხარდაჭერა

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.